საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია. 

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 400,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. [illegible]
4 „ 15 „ [illegible]
სამგლოვიარო [illegible]
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 601 პარასკევი, ოქტომბრის 19 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, ოქტომბრის 21-ს,

## ტფილისში, პარტიულ კლუბში

გაიხსნება საქ მემარცხ. სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის

# კონფერენცია

განსახილველი მომავალ პარტიულ ყრილობაზე გასარჩევი საკითხები. კონფერენციას გადამწყვეტი ხმის უფლებით ესწრება თითო წარმომადგენელი ყველა საქალაქო და სამაზრო კომიტეტებისა.

## რუსთაველის თეატრი

კვირას, ოქტომბრის 21-ს

სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის (ყოფ. სტუდიის) დარბაზი.
კ. კაპანელი წაიკითხავს სახალხო ლექციას:

# საქართველოს კულტურა და ქართული სული

დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: კ. აბაშიძე, სერ ამილახვარი, რ. კალაძე, დ. კასრაძე, ვ. კოტეტიშვილი, ი. ტატიშვილი.

თავმჯდომარე არ. ჭუმბაძე.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათ. ბილეთები იყიდება იქვე.

3—1

პასუხისმგებ. ადმინისტ. ლეო კიკნაძე.

# დღიური

— ხმებია, ვითომც, ბრიტანეთის მთავრობა უშვებს საერთაშორისო სესხს გერმანიის სასარგებლოდ.

— ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციამ გადასდვა საკონტრიბუციო და რურის საკითხების განხილვა.

— პარიზი 22 ოქტომბერს იხსნება ტანსერის კონფერენცია.

— რუსეთ-ფინეთის სავაჭრო კონფერენციამ განაახლა მუშაობა.

— ჩრდილოეთ სახალინზე აღმოაჩინეს საუკეთესო ქვანახშირით მდიდარი ადგილები.

— საერთაშორისო გლეხთა კონფერენცია დაიხურა ოქტომბრის 16.

— ფრანგებმა გერმანიაში დაიჭირეს ახალი მაღაროები.

— ტიურინგიის წითელ მთავრობაში კომუნისტებს მიეცათ 2 სამინისტრო.

— საქსონიის მთავრობასა და ბერლინს შორის დამოკიდებულება მეტად მწვავდება.

# ახალის გზით

გერმანეთის პოლიტიკური მდგომარეობა დღითი დღე მწვავდება. იგივე ეკონომიური კრიზისი, იგივე მშრომელი მასის სავალალო, უმწეო ეკონომიური ცხოვრების პირობები. შტრეზემანის მეორე კაბინეტმა გაამართლა ჩვენი მოსაზრება: მან დღემდე ვერ შესძლო გერმანიის პოლიტიკურ კრიზისიდან გამოყვანა, შექმნილ პოლიტიკურ ხლართისგან თავის დაღწევა.

რას გვეუბნება საქსონიის და ტიურინგიის მაგალითები? უსათუოდ ერთს: გერმანიის პროლეტარული მასსა საკმაოდ ერკვევა ბურჟუაზიულ წრეების და პარტიების მიერ ხელოვნურად შექმნილ ბურუსში. მართალია, ბურჟუაზიული რეაქცია მთელ ევროპაში გაძლიერდა, ვითარდება. თვალსაჩინოა ეს კერძოდ გერმანიის მაგალითზე. მაგრამ ჩვენ, მეორეს მხრით, რეალურ სინამდვილეს წინაშე ვსდგევართ: რეაქციის გაფართოებამ თავის მხრით გამოიწვია რევოლიუციის ტალღების გაძლიერება. ძლიერდება ბურჟუაზიული რეაქცია, ძლიერდება პროლეტარული მოძრაობაც. გერმანიის მომავალ ცხოვრების საქანელა ორ უკიდურესობის შუა ქანაობს: ფაშიზმი, ე. ი. ბურჟუაზიული დიქტატურა და კომუნიზმი, პროლეტარიატის დიქტატურა. კითხვა ისმება: ბრძოლის სასწორი რომელ ბანაკისკენ, რომელ პოლიუსისაკენ გადაიხრება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არსებულ ძალთა განწყობილების გათვალისწინებიდან გამომდინარეობს.

ამ თავითვე ერთი რამ უეჭველია და უდაო: გერმანიის სახალხო მეურნეობის მთავარ ხერხემლის შესუსტება, ეკონომიური სიქესატე, ხალხის სიღატაკე. გერმანია კოლონიალურ ქვეყნად გადაქცევის გზას ადგას. როგორც დღევანდელი ცნობები ადასტურებს, საფრანგეთის იმპერიალიზმი განაგრძობს გერმანიის წინააღმდეგ გალაშქრებას. ფრანგები იჭერენ სულ ახალ და ახალ მაღაროებს. პუანკარე მიაქანებს იმპერიალისტურ ტაიჭს გერმანიის ეკონომიურად და პოლიტიკურად დამონავებისაკენ.

შტრეზემანის მთავრობა ლოიალურ საშუალებებით იკვებება. მოთმინების პოლიტიკა არ გამოსულა გერმანიის ხელმძღვანელთა პრაქტიკიდან. პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში აღება მოახდენს რადიკალურ ცვლილებებს გერმანიის ცხოვრებაში, კიდევ მეტი—მთელი ევროპის სინამდვილეში.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია ძლიერი პოლიტიკური მიმართულებაა. მას აქვს გავლენა პროლეტარულ ფენებზე. აშკარაა, მენშევიკების ოპორტიუნიზმი ხელს უშლის რევოლიუციის გამარჯვებას. გერმანიის მენშევიზმი ტორმოზია პროლეტარიატის განთავისუფლების. ამას ადასტურებს მთელი რიგი მაგალითების, რომელიც დღემდე აკინძულია თანამედროვე გერმანიის ვითარებიდან.

ამ ჟამად გერმანიის სოც.-დემ. აქვს ადგილი საგულისხმო მოვლენას. პარტია თითქმის ორ ბანაკად იაზმება: მემარცხენეების და მემარჯვენეების. ჩვენ უკვე ვიცით, რომ პარტიულმა მასსამ გაილაშქრა ცეკას წინააღმდეგ. საქსონიის მემარცხენე სოც.-დემოკრატები ხელიხელ ჩაკიდებული შეუდგნენ კომუნისტებთან ერთად პროლეტარიატის კლასიურ ინტერესების ნიადაგზე ბრძოლას. ანალოგიური მაგალითებს ვხედავთ ტიურინგიაში და სხვაგან.

მთავარი პირობა ფაშიზმის დამარცხებისა პროლეტარული მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის შექმნაა. მემარჯვენე ფრთა სოც. დემოკრატიისა ხელს უშლის მუშათა ბრძოლის მთლიანობას, რამდენად იგი გამოდის ფაშისტების მოსამსახურის როლში. უეჭველია, ამას დაინახავს გაბიაბრუებული ძასსა სულ მოკლე ხანში და ბოლო მოეღება რეფორმიზმის ჰაოზს. მემარცხენე სოც.-დემოკრატების გამოსვლა დააჩქარებს ამ პროცესს იმდენად, რამდენად ისინი მჭიდროდ შეუკავშირდებიან კომუნისტებს და გაწყვეტენ კავშირს ძველ პარტიასთან.

გერმანიის სოც.-დემოკრატიას გადაშლილი აქვს ახალი გზა, გზა პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებისა და განმტკიცებისაკენ. უღალატებს იგი ამ გზას? მშრომელი მასის რევოლიუციონური ბრძოლა სამუდამოდ მოსპობს რეფორმიზმსა და ოპორტიუნიზმის უბადრუკ მედროშეს—სოც.-დემოკრატიას სწორედ ისე, როგორც მოსპო იგი პარტია ოქტომბრის რევოლიუციამ რუსეთში.

# პრესა

**ერთი ძირითადი ამოცანათაგანი.** ამ სათაურით გაზ. „კომუნისტი“ № 239 უფრო ვრცლად ეხება იმავე საკითხს, რასაც აღვნიშნავდით ჩვენ გუშინდელ ნომერში.

ესაა გლეხობისადმი იაფი საქონლის მიწოდება. მოგვყავს „კომუნისტის“ მეთაურიდან ზოგი ადგილები:

„მართლაც, ყველაზე უფრო საჭირ-ბოროტო და მწვავე საკითხი, რომლის გადაჭრა დღემდე ვერ მოგვიხერხებია, ესაა პროპორციის სრული დარღვევა სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებსა და ინდუსტრიის პროდუქციას შორის, საარაკო სიძვირე უკანასკნელის პირველთან შედარებით.“

მეტად მძიმე მდგომარეობაშია არა მარტო ულარიბესი გლეხობა არამედ საშუალო ნაწილიც: ათი-ხუთმეტი ფუთი ხორბალი უნდა გაყიდოს, რომ ერთი პერანგი შეიკეროს. გლეხს აკლია პირველ მოთხოვნილების საგნები: ჩასაცმელი, ნავთი, მარილი, ლურსმანი და სხ.

„ასეთი მდგომარეობა. უეჭველია, დიდ საფრთხეს უმზადებს გლეხობის და მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებას, თვით სასოფლო-მეურნეობის აღორძინებას და საბოლოო ანგარიშით სახელმწიფობასაც.

ჩვენ მოკლე დროში უნდა გამოვნახოთ საშუალებები გლეხობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ფაბრიკატებით. ამისათვის საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, როცა, ერთი მხრივ, გლეხის ნაწარმოები მოიპოვებს ასე თუ ისე ნორმალურ ღირებულებას, მეორე მხრივ—შედარებით გაიაფდება მრეწველობის პროდუქცია, და ამგვარად სოფლის მოსახლეობა შესძლებს თავისი ნამუშევარით აუცილებელ ფაბრიკატების შეძენას.

საბჭოთა ხელისუფლების მთელი მეცადინეობაც აქეთკენაა მიმართული, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით საგრძნობი შედეგი არ არის მიღწეული.

მთავრობამ თვითონ უნდა შეიძინოს პირდაპირ გლეხებისაგან პური რიგიან ფასებში, როგორც შინაური საჭიროებისათვის, ისე უცხოეთში გასაგზავნად.

„დღეს კი რამდენიმედ ისეთი მდგომარეობაა სოფლად, რომ დიდი გასავალი აქვთ ჩარჩებს და სპეკულიანტებს, რომელნიც „კიტრის ფასად“ აცლიან გაჭირვებულ გლეხობას მის ნამაგარს. ჩარჩები უნდა აილაგმონ, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების, უწინარეს ყოვლისა ეკონომიურ-კომერციული საქმიანობით.“

„ამასთან მთავარი საქმე ის არის, რომ გლეხობას მივაწოდოთ ფაბრიკანტებზე შედარებით იაფ-ფასებში.

როგორც ვთქვით, ჩვენი მრეწველობის პროდუქცია ძალიან ძვირია. ამას მრავალი ობიექტიური მიზეზი აქვს. ქარხნების აღდგენა და რემონტი, რისთვისაც თანხა უნდა იქნას გაღებული მიმდინარე შემოსავლიდან, ფულის კურსის მერყეობა, რაც აძნელებს სწორი კალკულიაციის მოგვარებას, და მრავალი სხვა გარემოება ქმნიან ხსენებულ სიძვირეს.

მაგრამ ყველაფერს ობიექტიურ პირობებს ვერ გადავაბრალებთ. ბევრი რამ აიხსნება ჩვენი აღებმიცემობის. ვაჭრობის მოუწყობლობით რაც იწვევს სრულიად გაუმართლებელ ზედმეტ ხარჯებს. საქონელი, სანამ მისი გამომშვები ფაბრიკიდან მომხმარებლებამდე მიაღწევდეს, გადის აუარებელ ინსტანციას, რომელთაგან თვითეული ადებს მას საგრძნობ პროცენტებს მოგებისათვის და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად. ამასთან ჯერ კიდევ ვერ მოგვიშორებია თავიდან ათასგვარი კერძო შუამავლები, რომელნიც პარაზიტებად აწვანან ხალხის სამეურნეო ორგანიზმს.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ სოფლისათვის თავის დროზე საქონლის მიწოდება, მასთან უშუალო დამოკიდებულების გამო. სოფლად ხშირად შეხვდებით, რომ კოოპერატიული დუქნები ცალიერია და მომხმარებელი მასა ჩაუგდიათ ხელში ჩარჩ-ბაცაცებს, რომელნიც ჩვენზე გაცილებით უფრო ძვირად ჰყიდიან საქონელს. არ კმარ მარტო, მაგ., ტფილისში და სხვა მსხვილ ქალაქებში გავხსნათ სავაჭრო მაღაზიები. გლეხობა ამით ნაკლებათ სარგებლობს. ჩვენ უნდა შევიჭრათ ჩვენი საქონლით გლეხურ მომხმარებელ მასის შუაგულში.

ამისათვის საჭიროა გამარტივება ჩვენი სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული აპარატის, მისთვის მოქნილი ხასიათის მიცემა, ამასთან ჩამოშორება ყველა ზედმეტი შუამავალ ორგანოების და პირებისა, რომელთა შენახვა დიდძალ საშუალებებს ითხოვს.

ამ ამოცნების გადასაჭრელად დიდი მუშაობა სწარმოებს ამ ბოლო დროს რუსეთში.

საკითხი გადადებას ვერ ითმენს. მის გადასაწყვეტად ჩვენ უნდა ავამოძრავოთ ყველა ჩვენი სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოები“.

# რადიო-დეპეშები

„ზაკროსტას“ ცნობები 18 ოქტომბრიდან.

**გერმანიის ამბები.**

გერმანიის მთავრობამ მიაღწია შეთანხმებას აგრარიებისა, მრეწველებისა, ვაჭართა და სხვა და სხვა ბანკების წარმომადგენლებთან სავალიუტო ერთეულის საკითხის გადასაწყვეტად საშუალებების გამოძებნაში.

მრეწველებმა, აგრარიებმა, ბანკებმა და ვაჭრებმა მიიღეს მთელი რიგი დათმობებისა.

„დეილი გერალდის“ ცნობით, ხმებია, ვითომც ბრიტანეთის მთავრობას განზრახვა აქვს გამოუშვას საერთაშორისო სესხი გერმანიის სასარგებლოდ. ამრიგად შეგროვებული თანხა მოხმარდება კონტრიბუციის გადახდას, მხოლოდ იმ პირობით, თუ რურსა და რეინდანდიდან წავლენ ფრანგები.

აღმოსავლეთ პრუსიიდან მიღებულ ცნობებით, იქაც იწყება უწესოება სიძვირის ნიადაგზედ.

ფრანგებმა ახლად დაიჭირეს მაღაროები: „ზეკესი“ და „ჰერკულესი“.

გერმანიის მთავრობამ დაავალა თავის წარმომადგენელს პარიზში, წარუდგინოს პუანკარეს ახალი წინადადებები, რომელთაც, როგორც ფიქრობენ, კავშირი აქვთ რურში მუშაობის განახლებასთან.

ტიურინგიაში დამთავრდა წითელი მთავრობის შედგენა. კომუნისტებმა მიიღეს 2 სამინისტრო: იუსტიციისა—კორში და სახალხო მეურნეობისა—ტენორი. დანარჩენი ადგილები მიეცათ სოც.-დემოკრატებს.

პრემიერი და გარეშე საქ. მინისტრი—ს.-დემ. ფრელიხი.

საქსონიის მთავრობასა და ბერლინს შორის კონფლიქტი მწვავდება. როგორც ეტყობა, სამხედრო მთავრობა ემზადება გადამწყვეტ გამოსვლისათვის მუშათა მთავრობის წინააღმდეგ.

ახლო მომავალში მიღებული იქნება მტკიცე ზომები პროლეტარულ რაზმების დაშლისათვის. მიულდერის განკარგულებით, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი საქსონიის პოლიტიკა ექვემდებარება სამხედრო მთავრობას.

საქსონიის პროლეტარიატმა გადასწყვიტა არ დაემორჩილოს სამხედრო მთავრობას და არ დაშალოს პროლეტარული რაზმები.

საქსონიის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც იუწყება, რომ ენერგიულ ზომებს მიიღებს ბერლინის მთავრობის წინააღმდეგ პროლეტარულ ორგანიზაციების დაშლის მოთხოვნის გამო. განცხადება ხაზს უსვამს, რომ მთავრობა ვერ შეურიგდება რესპუბლიკის დამცველ ორგანიზაციების დევნას, მაშინ, როდესაც საქსონიის რეიხსვერი ივსება ფაშისტური ელემენტებით.

მიუხედავად აღკრძალვისა, მაინც შესდგა საქსონიის პროლეტარულ რაზმების კონგრესი, რომელზედაც მონაწილეობას იღებდა 155 წარმომადგენელი—სოც.-დემოკრატი და კომუნისტი.

კონგრესმა მიიღო მიულერისადმი მიმართვა, რომელშიაც აცხადებს. „საქსონიის პროლეტარიატი მზადაა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს მოპოებულ უფლებების დასაცავად. ჩვენ სასაცილოდ ვიგდებთ თქვენს აღკრძალვას“.

გერმანიის მრეწველთა ცენტრალური კავშირი უარსჰყოფს ცნობას, ვითომც სტინესის ჯგუფმა უარი სთქვა საფრანგეთთან მოლაპარაკების განახლებაზე.

უსურსათობის ნიადაგზედ მღელვარება ბერლინში გრძელდება. მუნიციპალიტეტის წინ უმუშევართ შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან, დაჭრილია რამდენიმე კაცი. ასეთივე შეტაკებები იყო სხვა ქუჩებშიაც. პოლიციის მიერ განდევნილ უმუშევრები წავიდნენ მუშათა რაიონში ინტერნაციონალის სიმღერით; გზაში მოსიარულეთ ახდევინებდნენ ქუდს. დაპატიმრებულია ბევრი, ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს ობერ-ბურგომასტრსა და ბერლინის ყველა რაიონების უმუშევართა წარმომადგენლებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავარიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობა, რომელიც აღკრძალულ[ი] იყო ბავარიაში შესდგა ილაჟენში.

ვიურტემბერგის ნაციონალისტები შეუდგნენ ფაშისტურ ორგანიზაციის „მამულიშვილთა კავშირის“ აოწყობას. მიუხედავად ამისა, ვიტემბერგის სოც.-დემ. უარყვეს კომუნისტების წინადადება რეაქციასთან საბრძოლველად მთლიანი მოქმედების კომიტეტის დაარსების შესახებ.

# უცხოეთი

**ბერლინი.** ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციამ განუსაზღვრელ დრომდე გადასდო საკონტრიბუციო და რურის საკითხების განხილვა, რადგანაც კონფერენციის წევრებს სურთ შეუცადონ, როგორ წავა საქმე ოკუპაციით დაჭერილ ოლქებში.

**პარიზი.** ათინიდან მიღებულ ცნობით, ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის დაიწყო მცხოვრებთა გაცვლა-გამოცვლა. კუნძულ მეტილენიდან ევაკუაცია უყვეს 7.500 ოსმალს.

**პარიზი.** 22 ოქტომბერს პარიზში იხსნება კონფერენცია ტანჯერის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობით, ტანჯერის კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ ინგლისისა, საფრანგეთისა და ესპანეთის წარმომადგენლები.

### ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

**თეირანი.** ინგლისის მთავრობამ მოსთხოვა სპარსეთს, გააუქმოს 1903 წ. რუსეთ-სპარსეთის შორის შეთანხმებით საზღვარზედ დაწესებული დაკლებული ტარიფი.

**მოსკოვი.** ამერიკის ნავთსადგურებთან ეწყობა პირდაპირი საზღვაო მიმოსვლა მურმანსკ-ლონდონით.

**ნიუ-იორკი.** რუსეთიდან დაბრუნებულმა ლედდმა, კინგმა და ამერიკის კონგრესის წევრმა ფრირმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომლითაც აუწყებენ რომ რუსეთის საერთო მდგომარეობა მათ გაცილებით უკეთესი დახვდათ, ვიდრე ცნობები ჰქონდათ ამის შესახებ ამერიკაში. სენატორები ამერიკის მთავრობას წინადადებას აძლევენ, აღადგინოს მან რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა.

**ანგორა.** სამსუნში დაპატიმრებული ს. ს. რ. კ. მოქალაქენი, რომელთაც ბრალდებოდათ კომუნიზმი და ოსმალეთში არსებულ წესწყობილების ჩამოგდება, ეხლა განთავისუფლებული არიან.

**მოსკოვი.** ნორვეგიის სავაჭრო წარმომადგენლობამ რუსეთთან დასდვა ხელშეკრულება, რომლითაც ნორვეგია-რუსეთისაგან ყიდულობს ხორბალს. უკვე მიყიდულია 25.000 ფუთი ქერი. შემდეგში განზრახულია 200 ტონამდის სხვა და სხვა ხორბლეულობის რეალიზაცია.

**მოსკოვი.** რუსეთ-ფინეთის სავაჭრო კონფერენციამ განაახლა მუშაობა. მხარეებმა განიხილეს ხელშეკრულების პროექტი და აღნიშნეს, რომ პროექტის მეტ ნაწილში უკვე მიღწეულია შეთანხმება.

### მუშათა მოძრაობა.

**პარიზი.** კომპარტიის ყრილობაზედ მონაწილეობას იღებს 166 დელეგატი, 88 პროვინციალურ სექციის წარმომადგენელი. ყრილობაზედ გამოირკვა, რომ პარტიის წევრთა რიცხვი და მისი გავლენა მუშათა მასებზე მნიშვნელოვანად გაიზარდა. ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მოიწონა კომინტერნის კონგრესის მიერ გამოძუშავებული ტაქტიკა და ცენტრალურ კომიტეტს დაავალა, გაატაროს ცხოვრებაში კომინტერნის კონგრესის დადგენილებანი.

**პარიზი.** შრომის გენერალურ კონფედერაციის მომხრე მელითონეთა კავშირის კონგრესმა უარჰყო მელითონეთა უნიტარული კავშირის წინადადება, რომლითაც კავშირი მოითხოვდა კონგრესზედ დაშვებას, მთლიანი ფრონტის საკითხის ერთად განსახილველად. კონგრესზედ ჟუემ განაცხადა, რომ მუშები უნდა ებრძოლონ მთავრობის რეაქციონურ პოლიტიკას და სხვილ ლითონის მრეწველთა პოლიტიკურ გაბატონების საშიშროებას.

მიღებულ რეზოლიუციაში კონგრესი მოუწოდებს მუშებს იბრძოლონ 8 საათის სამუშაო დღის შესანარჩუნებლად.

### საბჭოთა რესპუბლიკებში.

**მოსკოვი.** 16 ოქტომბერს დაიხურა საერთაშორისო გლეხთა კონფერენცია. ამავე დღეს შესდგა საერთაშორისო გლეხთა საბჭოს სხდომა. საბჭოს გენერალურ მდივნად აირჩიეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარი სმირნოვი, მის მოადგილედ—დომბალი. საბჭომ დაადგინა გამოსცეს ყოველდღიური ჟურნალი და გახსნას მოსკოვში აგრარული ინსტიტუტი.

**მოსკოვი.** შორეულ აღმოსავლეთიდან დაბრუნდა გეოლოგიურ კომიტეტის მიერ კრისტოფოვიჩის მეთაურობით გაგზავნილი ექსპედიცია, რომელმაც დაჰყო იქ 5 წელი. ექსპედიციამ გამოიკვლია წყნარი ოკეანეს სანაპირო და აღმოაჩინა, რომ ჩრდილოეთი სახალინი მდიდარია მაღალ ხარისხის ქვანახშირით, რომლის თადარიგი უდრის 4 მილიარდ ფუთს.

# ახალი ამბები

— **ქურდობა.** ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს დილით გაქურდეს ამხ. სევ. ჭიჭინაძის ბინა სვიატოპოლკ-მირსკის ქ. № 6; წაიღეს ტანისამოსი, საცვლები, ბალიშის პირები და სხვა, სულ ნახევარ მილიარდათ ღირებული.

— **ინსტრუქციის ახალი პროექტი.** ა. კ. შრომის კომისარიატმა შეიმუშავა ინსტრუქციის ახალი პროექტი, შემრიგებულ კამერების და სამედიატორო სასამართლოთა სახელმძღვანელოდ ამიერ-კავკასიის პირობების თანახმად.

— **ალმასკომის შუამდგომლობა.** ვინაიდგან კოჯრის მგზავრები დიდ გაჭივრებას განიცდიან წისქვილის უქონლობის გამო, პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა სამხედრო რევ. საბჭოს წინაშე, რათა კავკ. განსაკუთრ. არმიის შტაბმა გადასცეს მას შტაბის აგარაკის დინამო-მანქანა ხსენებულ რაიონში წისქვილის მოსაწყობად.

— **მომქმედ კანონების კოლიფიკაცია.** შრომის კომისარიატის დადგენილებით განზრახულია გამოვიდეს შრომის მომქმედ კანონების კოლიფიკაცია, რომელიც გამოვა ცალკე წიგნათ,

— **საბავშვო სახლი სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილ ბავშვებისთვის.** გან. სახ. კომისარიატი აწყობს ვლადიკავკაზიდგან გადმოგზავნილ 62 ოს ბავშვისთვის საბავშვო სახლს. ის ბავშვები 1920 წლის სამოქალაქო ომის დროს იყვნენ გადახვეწილნი სამხრეთ ოსეთიდგან ჩრდილო კავკასიაში სახლის შენახვა იკისრა საქ. სახ. კომისართა საბჭომ.

— **პასუხის მგებელ მუშაკების თანამშრომელთა გაზეთები.** შრ. სახ. კომისარიატმა თავის ყველა პასუხის მგებელ მუშაკებს დაევალა ითანამშრომლონ გაზეთებში და ამით ხელი შეუწყონ შრომის საკითხების გაშუქებას.

— **ლენინის სახელობის საბ.ვშვო სახლის დახურვა.** განათლების კომისარიატის სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილებამ გააუქმა თავის განგებლობაში მყოფი ლენინის სახელობის საბავშვო სახლი და მათში მყოფი ბავშვები მოათავსა განათლების კომისარიატისა და განათ. განყოფილების სახლებში.

— **საბავშვო სახლის გახსნა ლეჩხუმში.** ლეჩხუმის მაზრის ალმასკომმა და განათლების სამაზრო განყოფილებამ გახსნეს ქ. ცაგერში საბავშო სახლი.

— **ქართველი ბავშვების გადმოგზავნა.** განათლების კომისარიატმა მიიღო ნალჩიკიდგან (ჩრდილო-კავკასია) გადმოგზავნილი [illegible] ქართველი ბავშვი, რომელიც მოთავსებული იქნებიან კოჯორის ახალშენებში.

— **ჯიშიანი ცხენები მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.** ცხენოსანთა საჯირიბოს სამმართველომ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნა 4 ჯიშიანი ცხენები. ცხენები გაგზავნილი იყო გამოფენაზე როგორც ექსპონატები და ორმა ცხენმა მიიღო პრემია (ჯილდო).

— **შრომის კომისარიატის ფურცლები.** ახლო ხანში გამოვა შრომის კომისარიატის ყოველდღიური ბიულეტენი (ფურცლები), რომელშიაც მოთავსებული იქნება სექტემბრის და ოქტომბრის გამოცემული შრომის ყველა მომქმედი კანონები.

— **მეტრიული სისტემა.** ქართულ დივიზიის ყველა ნაწილებში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა მატერიალურ სისტემის შესასწავლად.

— **სავალდებულო დადგენილება.** ქალ. ალმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება ქუჩების განათების და მათი სისუფთავის დაცვის შესახებ.

— **დახმარება გერმანიის პროლეტარიატს.** ჯანმრთელობის კომისარიატის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს დაუყონებლივ შეუდგენ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ შემოწირულებათა შეკრებას.

— **გაწმენდა მოზარდ უმუშევრების.** შრომის ბირჟის კომიტეტის დადგენილებით ამ დღეებში დაიწყება მოზარდ უმუშევართა გაწმენდა.

— **ვლ. ალექსი-მესხიშვილის ძეგლი.** შესდგა კომისია, რომელიც თაოსნობს განსვენებულ მსახიობ ვლ. ალექსი-მესხიშვილის ძეგლის აგებას.

— **საქართველოს განათლების მუშაკთა სახლი.** განათლების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით ტფილისის განათლების მუშაკთა სახლს ამიერიდან ეწოდება სრ. საქართველოს განათლების სახლი.

— **უფასო სადილი ახალგაზრდა უმუშევართათვის.** შრომის ბირჟის კომიტეტის დადგენილებით უფასო სადილები, რომელიც მოწყობილია უმუშევართათვის, 20 პროც. ადგილი დაეთმოს ახალგაზრდა უმუშევრებს.

— **შრომის ბირჟა.** 17 ოქტ. შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—438, უმუშ. ახლად ჩაეწერა—121 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 71, უმუშევარი.

— **შრომის ბირჟაზე რიგის დაკარგვა.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა: საზაფხულოდ

---

# უწინდელი და აწინდელი

**(წარსული და აწმყოს სურათები).**

III

### უ წ ი ნ*)

(გაგრძელება)

დიდის ამბით დაასაფლავეს ვანო. მთელი წინაპარის ხალხი, ახლო მახლო მდებარე სოფლებიდან მრავალი გლეხობა, ყველა დაესწრო დასაფლავებას. იყო სიტყვები საფლავთან, და ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასწავლებელ გიორგის სიტყვამ. დიდის გრძნობით და აღელვებით იქმნა თქმული ეს სიტყვა და მთელი ხალხი აატირა. გიორგიმ დაასურათა ვანოს მოკლე მაგრამ მეტად შინაარსიანი ცხოვრება, მისი უმანკო, პატიოსანი პიროვნება და ის საშინელი საერთო პირობები, რომელთა მსხვერპლი გახდა უდროოდ დაკარგული ორჩი არსება.. „დადგება დრო, მოქალაქენო, როდესაც შესაძლებელი გახდება ისტორიის უტყუარი ფურცლების გადაშლა და მოურიდებლად მათი გადაკითხვა, მაშინ ყველა გაიგებს თუ რა საშინელი ბოროტების, რა საშინელი ტრაღედიის მსხვერპლი გახდი ჩვენი ახალგაზრდა, მაღალი იდეალებით აღჭურვილი ვანო!“....

იქვე ახლოს მთლად მოტეხილი, ჩაბერებული, ნახევრად ჭკუაზე გადარეული იდგა იროდიონი და უსმენდა გიორგის. უკანასკნელ სიტყვებზე იროდიონს თვალები ცეცხლით აევსო, საშინლად გაბრაზდა, აღმართა ხელი, მიუთითა გიორგის და საშინელის ხმით შეღრიალა: „შენ.... შენ...“ მაგრამ ველარ დაამთავრა, წაბარბაცდა და დაეშვა მიწაზე, მისცვივდნენ ახლო მდგომნი, წამოაყენეს და წაიყვანეს შინისაკენ... „საცოდავი, მწუხარებისაგან ჭკუაზე შეიშალა“-ო ამბობდა ხალხი.....

მთლად მოიშალა ფიზიკურად და სულიერად იროდიონი. ერთ წუთს მოსვენება არა ჰქონდა. ველარას აკეთებდა, შინიდან გარედ არ გადიოდა. მეტ ხანს იდვა ტახტზე და საზარელი ფიქრები უტრიალებდა თავში. განუწყვეტლივ ყურში ბზუილი გაჰქონდა: „ჯაშუში! ჯაშუში“... საიდან, რა გაიგო იმ უბედურმა? აი კითხვა რომლის ირგვლივ ტრიალებდა მღვდლის აზრი და მოსვენებას არ აძლევდა... და მუდამ კვლავ გიორგის სახელი ახსენდებოდა....

„ის არის, ის არის ჩემი დამღუპველი., იძახოდა გულში იროდიონი და კვლავ შურის ძიებით ივსებოდა ნაღველი.. თან კიდევ მუდამ შიშის ქვეშ იყო, მუდამ თავდასხმას მოელოდა... კარფანჯარას მაგარი რკინის შურდულები გაუკეთა და შებინდებოდა თუ არა თვითონ კეტავდა მთელ სახლს. ზშირად ღამე უცებ გამოეღვიძებოდა ხოლმე შეშინებულს: „ფოფოდია, ქალო! ადე გაიხედე, მგონია ვიღაც დადის ეზოში“... მწუხარებით გადაყრუებული და დასუსტებული ცოლი მისი წამოდგებოდა, გაიხედავდა, შემოივლიდა ოთახებს დაბრუნდებოდა: „არა, ადამიანო, არავინაა, ღმერთი რჯული“... და ასე ამ რიგად ყოველ ღამე.... ეკლესიაშიაც კი აღარ დადიოდა იროდიონი, აცნობა ბლალოჩინს უბედურობის შემდეგ ავად გავხდი სამსახურს ვერ შევასრულებო და წინაკარში დროებით სხვა მღვდელი გაამწესეს...

ერთი აზრი და ასულდგმულებდა იროდიონს: როგორ და რითი იძიოს შური მასწავლებელ გიორგიზე; ქალაქში ჩასვლას და მით უმეტეს სადაც ჯერ არს მისვლას ვერ გაბედავდა, ფოსტით საიდუმლო პაკეტის გაგზავნაც საშიში იყო, ან და რას აცნობებდა ახალს გიორგის შესახებ, რაც არაფერი იცოდა...

მღვდლიანთსა არავინ დადიოდა. გიორგიმ რასაკვირველია ადგილობრივი ამხანაგები გააფრთხილა მღვდლის შესახებ, მართალია არ გაუმჟღავნებია ყოველისფერი, მაგრამ საზოგადოდ კი გააფრთხილა. ეუცხოვათ წინაკარელებს, მღვდლის შესახებ იქვე როგორ დაებადებოდათ, მაგრამ იმავე დროს დარწმუნებული იყვნენ, რომ გიორგი ტყუილ უბრალოდ არას დასწამებდა. ამიტომ ეხლა მღვდლის ოჯახს ყველა ერიდებოდა და თვითონ მღვდელიც არავის ეკარებოთა.....

ერთად ერთი ადამიანი, რომელსაც მეტად ებრალებოდა იროდიონი და მისი ოჯახი იყო გიორგის ცოლი ანეტა, იგი მაინც დაიარებოდა მღვდლიანთსა და შეძლების დაგვარად ანუგეშებდა. გიორგის არა უთქვამს რა ანეტასათვის, ან და რა საჭირო იყო ასეთი საზარელი ამბებით მისი შეწუხება. საშიში კი არა იყო რა ანეტასათვის. ასე ეგონა გიორგის.....

იროდიონი შინ თითქმის ხმას არავისა სცემდა, მაგრამ მოვიდოდა თუ არა ანეტა, იროდიონს უმალ გამოცოცხლება დაეტყობოდა, ებაასებოდა ანეტას, გამოჰკითხავდა ადგილობრივ ამბებს, ერთხელ ორჯელ თითქოს გაეხუმრა კიდეც, ასე რომ ფოფოდია კიდეც შეეხვეწა ანეტას: „შვილო, ხშირად გადმოიარე ჩვენსკენ, იქნებ ცოტათი მაინც გამოაცოცხლო მღვდელი.. მეტად უყვარხარ და შენი მოსვლა ძრიელ იამება ხოლმე“-ო ანეტაც დადიოდა.

ერთხელ იროდიონმა შესჩივლა ანეტას: „ისე ცუდად ვარ, ვერსად გავსულვარ, ქვეყნიერებისა არა ვიცი რა... ერთად ერთი ადამიანი გიორგია, მასთან მოვიბრუნებდი გულს, მეტად უყვარდა ჩემს უბედურს თქვენი ქმარი, მაგრამ როგორ დავემდურო რომ არ შემოდის... სადა სცალიან? დღისით სკოლა, საღამოთი კიდევ ხალხის საქმე... მგონია წუთი მოსვენება არა აქვს“...

— „ო—ხ, ნუღარ ბრძანებთ ბატონო, შესჩივლა თავის მხრით ანეტამ, მეშინიან ავად არ გამიხდეს, ერთ წუთს არ ისვენებს, შუაღამემდი მუშაობს, დილა ადრიან დგება. ათასი მიდის და მოდის, ყველას მასთან საქმე აქვს... გაუჭირდება ვისმე, ან დასაწერი, ან რჩევა სჭირია ყველა გიორგისთან მოდის... თანაც მეშინიან, მამაო, მეშინიან... ხიფათში არა ჩავარდეთ“.. აქ ანეტა უცბად ჩაჩუმდა.

— „რა ქნას, ჩემო ანეტო, ხალხს ემსახურება, წმინდა მოვალეობას ასრულებს... რაო განა პოლიცია კვლავ ყურადღებას აქცევს? ალბად არ უფრთხილდება თავს?.. მაგრამ მგონია ეხლა ისეთი არაფერია“...

„ოხ, მამაო, მეშინიან... თითონ გიორგი კი მეტად ფრთხილობს არაფერში ერევა, მაგრამ სხვები არ ეშვებიან, აი ეხლაც“... აქ ანეტა კვლავ გაჩუმდა...

„რაო, ხომ არავინ გესტუმრათ“? ჰკითხა მღვდელმა.

„რა ვიცი, მამაო, ეს ოთხი დღეა, შუაღამისას ვიღაც ახალგაზდა მოგვადგა კარზე, გიორგიმ შემოიყვანა და მასაქეთია ჩვენთან არის.., დღე და ღამე სულ შინა ზის, გარედ არ გადის. ვინ არი და რისთვის გვესტუმრა არ ვიცი. გიორგიმ მხოლოდ ის მითხრა: ამხანაგია, არავინ გააჩნია, უადგილოდ არის, ერთი რამდენიმე დღე უნდა შევინახოთ, მანამ ადგილს უშოვნით... მე კი მეშინიან, რა ვიცი, ემანდ არა დაგვემართოს... ერთხელ კი ყური მოვკარი, მგონია სემინარიელი უნდა იყოს, ეტყობა საწყალ თქვენ ვანოს იცნობდა... მკითხა კიდეც სადა მარხიაო“...

მღვდელმა ყური აცქვიტა... წავიდა ანეტა და მღვდელი კი ჩაფიქრდა. ვინ არის? სემინარიელი?.. ან ციხიდან გამოქცეულთაგანია და გიორგისთან იმალება, ან და მის იროდიონის გულისათვისაა მოგზავნილი. აუცილებლად ორში ერთია, ან იქნება ორივე ერთად. ამაზე კარგს შემთხვევას როდის ღა მოესწრება იროდიონი: შურსაც იძიებს და თავიდან ხიფათსაც აიშორებს, მაგრამ როგორ? ქალაქს წასვლა საშიშია, საიდუმლო წერილის გაგზავნა ფოსტით სახიფათო... ვი'ა გაატანოს, როგორ აცნობოს სადაც ჯერ არს? ენდოს ადგილობრივ პოლიციას? ვერ ენდობა... მაშ რა ქნას. ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ერთად ერთი ისღა დარჩენია გაგზავნოს ქალაქს ფოფოდია ვითომ ექიმთან, მღვდლისათვის წამლების გამორთმევისთვის... ყველამ იცის რომ მღვდელი ავად არის და იქვს არავინ აიღებს. ნამდვილად კი ფოფოდიას წერილს გაატანს „ნიკოლაი პეტროვიჩთან“ და აცნობებს გიორგის ამბავს...

საღამოს ჟამს მღვდელმა უფრო მოიავადმყოფა თავი, კვნესოდა; ოხრავდა, თითქოს გული უწუხდებოდა. ფოფოდია შეშინდა, თავს დასტრიალებდა, აღარ იცოდა რა ექნა... მღვდელი კი სულ იმას გაიძახოდა: ჩემი წინანდელი წამალი ძალიან მშველოდა და ისევ ის წამალი არ ვიხმარე ნამდვილად მოვკვდებიო... თან სწუხდა აბა ვინ გავგზავნო ქალაქში ექიმთან, ვის მოვატანიო... ბოლოს და ბოლოს იქამდინ მიიყვანა ფოფოდია, რომ საბრალო დედაკაცმა თვითონ უთხრა: „მე წავალ, რა ვქნა, მართალია ჯერ ორმოცი არ შესრულებულა იმ უბედურისა, მაგრამ რა ვქნა... ღმერთიც და ხალხიც გვაპატიებს ამას...

დილით გაემგზავრა ფოფოდია ქალაქისაკენ. აუხსნა დაწვრილებით მღვდელმა მისამართი „ნიკალაი პეტროვიჩის“, ვითომდა ექიმის და გაატანა მასთან წერილი. წერილში კი დაწვრილებით მისწერა გიორგის ამბავი და თანაც დაუმატა თუ ვისი ხელით რა სახით უგზავნის წერილს... მღვდელმა ფოფოდიას უთხრა, რომ შუადღისაც უკანვე დაბრუნებულიყო.

ფოფოდიამ დავალება აასრულა და ნიკოლაი პეტროვიჩს წერილი გადასცა, უკანასკნელმა კი რაღაც კოლოფი, ვითომდა მღვდლისათვის წამალი გამოატანა დაბრუნდა შინ ფოფოდია და უამბო მღვდელს, თუ როგორ შეასრულა დავალება. იმავე დღეს ანეტა იყო საღამოთი მღვდლიანთსა და იროდიონმა გაიგო რომ „სემინარიელი“ ჯერ კიდევ მათთან არიის...

შუაღამისას სრულიად მოულოდნელად გიორგის კარი დაუკაკუნეს.

„ვინა ხარ? შეეკითხა გიორგი.

— „მე ვარ, ბოქაული... გააღეთ?“ იყო პასუხი. გიორგიმ ჯერ შეაღო კარი თავის უცნობ სტუმართან, გაალვიძა:

„აბა, თავს უშველე, პოლიციააა!..“

უცნობი მუდამ გაუხდელი იწვა ხოლმე, წამოხტა, მოიფშვნიტა თვალები, დაავლო ნაბადს და ქუდს ხელი, გააღო ფანჯარა და გადახტა ბაღჩაში.. განვლო სულ ორიოდე წუთმა,კვლავ რახუნი მოისმა კარებიდან: „ეხლავე, დაუძახა გიორგიმ და გაეშურა კარებისაკენ. სწორედ ამ დროს ორჯელ ზედი ზედ გავარდა თოფი. „ვაიმე! გაუსხლტაად თუ დაიჭირეს, ან ვინიცის მოჰკლეს?..“

გაიფიქრა გიორგიმ და გაუღო კარი ბოქაულის, შემოვიდა ბოქაული, თან ორი ჟანდარმი და რამდენიმე „სტრაჟნიკი“ შემოჰყვნენ...

დაიწყო ჩხრეკა... ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა მესამე ჟანდარმი...

— „ნუ შტო?“ შეეკითხა ბოქაული.

— „გოტოვო!“ მიუგო ჟანდარმმა:

„უსამაგო ზაბორა სხვატილი“...

„ნ„ რანილი?“ კვლავ შეეკითხა ბოქაული.

— „ნე-ე, ტემნო, კუდა პააიდიეშ?“

გათენებისას დაამთავრეს ჩხრეკა და გიორგი უცნობითურთ შეპყრობილნი წაიყვანეს ქალაქში.

მეორე დღეს დილით გულგახეთქილი ანეტა ეცა მღვდლიანთსა, მამა იროდიონი გამოცდილია, იქნებ მიშველოს რამეო. მაგრამ აბა მღვდელი რას უშველიდა?.. იროდიონმა მხოლოდ აღაპყრო თვალნი და ღმერთს მადლობა შესწირა: სამართლიანად სჯი დამნაშავესო“, გულში ლოცულობდა იგი.

ჩავიდა ქალაქში ანეტა, მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა. განვლო რამდენიმე დღემ და ბოქაულმა გამოუცხადა, ბინა უნდა დასცალო, რადგანაც მასწავლებელი დაუნიშნავთ და მას დასჭირდებაო.

სამუშაოზე გაგზავნილ მედიკო-სანიტარულ სექციის წევრებს უარი ეთქვათ სამუშაოზე რიგის დაცვის შესახებ და რიგში ჩაითვალონ როგორც ახლად ჩაწერილნი.

**— გაძარცვა.** მე-7-ე სამილიციო რაიონში 16 ოქტ. ღამის 4 საათზე რკინის გზის გაღმა მოქ. ვანო თუმანოვს დასცემიან 4 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი, რომლებსაც გაუძარცვნიათ და მიმალულან.

**— კოოპერატივის გაქურდვა.** 16 ოქტ. პლეხანოვის პრ. № 111-ში გაქურდული იქნა კოოპერატივი „ბოეცი", საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა საქონელი, ეჭვით დაპატიმრებულია კოოპერატივის დარაჯი სიმონ ძოსესიანცი.

**— პატიმარის გაქცევა.** 16 ოქტ. უბნის მილიციონერს ელისაბედის ქუჩაზე გაექცა პატიმარი მიხეილ ნანობიშვილი.

**— ქურდობა.** 16 ოქტ. გაქურდული იქნა მოქ. ილიკო ოკუჯავას ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 300 მანეთის ოქროთი. ეჭვით დაპატიმრებულია მოქ გიორგი იუტერი.

**— მგზავრების გაძარცვა.** 16 ოქტ. ბოროტმოქმედების მიერ წილკანის რაიონში გაძარცული იქნენ 10 მგზავრი, ბოროტ-მოქმედი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

**— ვალიუტის კურსი.**

18 ოქტომბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 64,200, | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 57,500, | „ |
| ჩეკი. | 52,500 | „ |
| დოლარი ეფექ. | 13,100 | „ |
| ჩეკი. | 12,100 | „ |
| ოსმალური ლირა | 7,000 | „ |
| საბჭოთა ფული | 12-ნახ. | „ |

## პარტიაში

**— ამხ. ს. ხუნდაძის მოხსენება გადაიდო სხვა დროისთვის.**

**— შაბათს, ოქტომბრის 20-ს, საღამოს 7 საათზე, „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა.**

**უნდა დაესწრონ სარევიზიო კომისიის წევრებიც.**

## მემარჯვენეთა დუელი.

### საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სენაკის სამაზრო კონფერენცია.

(გაგრძელება)

**მეორე სხდომა.**

მეორე სხდომა იხსნება დილის 10 საათზე.

**თავმჯდომარე:**—კონფერენციას გახსნილად ვაცხადებ. დღიურ წესრიგის თანახმად მოხსენებას გააკეთებს ამხ. შ. ლორთქიფანიძე: „ჩვენ, მენშევიკები და კომუნისტები".

— ამხანაგებო ჩვენსა და მენშევიკებს შორის ბრძოლის უმთავრესი მიზეზი იყო მათ მიერ ყალბი გეზის აღება ეროვნულ და ეკონომიურ საკითხში და აქიდან ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ, როგორც სწორი გეზის მქონე ეროვნული პარტიის. ჩვენი პარტიას დღიდან მისი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისა უხდებოდა ბრძოლა უმთავრესად ორ ფრონტზე. ერთის მხრივ ის ებრძოდა რუსეთის ბიუროკრატიას და მეორე მხრივ სოციალ-დემოკრატიას ჩვენში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ბრძოლა უფრო მწვავე იყო მეორე ფრონტზე. სოციალ-დემოკრატია არაფერს არ ზოგავდა ჩვენს წინააღმდეგ, ოღონ გაექრო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და აღეგავა ის დედამიწის ზურგიდან. ეს ხანა არის სავსე ტრაღიზმით ჩვენი პარტიის ისტორიაში, რა იყო მიზეზი იმისა, ამხანაგებო, რომ ასე მწვავედ გვებრძოდა ჩვენ სოციალ-დემოკრატია? ამის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ის იყო, რომ სოციალ დემოკრატია გრძნობდა თავის პრინციპების სისუსტეს ჩვენში და მას ეშინოდა ჩვენი პარტიის გაძლიერების, როგორც ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან წარმოშობილი პარტიისა. მისი ძალღონე იყო მიმართული ჩვენი პარტიის ჩახრჩობისაკენ. მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ მაინც თავისი გაიტანა და წააჩოქა სოც.-დემ. პარტია ჩვენი ცხოვრების რეალობის წინაშე. იდეიური გამარჯვება ამხანაგებო წილად ხვდა ჩვენ პარტიას. სოციალ-დემოკრატია იძულებული შეიქნა პირი ებრუნებია ცხოვრების სინამდვილისაკენ. და კიდევაც დაიწყო რევიზიის ხანა სოციალ დემოკრატიის ოჯახში. ერთ ფრთამ ადრე აიღო ალღო ცხოვრების სინამდვილის და დაადგა სწორ გზაზე (მე ვლაპარაკობ კომუნისტებზე); მეორე ფრთამ კი, რომელმაც არ გაუშვა ხელი ძველ ყალბ თეორიას სასიკვდილოდ განიწირა თავის თავი და კიდევაც გადაყვა მას; მაგრამ საუბედუროდ ჩვენ ახალგაზრდობამ ბრმად გავყევით პარტიის მენშევიკურ ელემენტებს და დავშორდით პარტიის რევოლიუციონურ პრინციპებს. მემარცხენეებმა კი დროზე აუღეს ამას ალღო და კიდევაც გახდნენ პარტიის ღირსეული მესაჭენი. მათ ხელი გაუწოდეს კომუნისტებს, ვინაიდან კომუნისტები აკეთებდენ ახალ საქმეს. დღეს კი ჩვენც ვიღვიძებთ ამხანაგებო და ვდგებით რევოლიუციონურ პოზიციაზე. ჩვენ უნდა დავიცვათ ოქტომბრის რევოლიუცია. აი ამიტომ, ჩვენი ახალგაზრდობის ვალია აწი მაინც გაიგოს ვისთან უნდა ვიყვეთ და შეუერთდეთ საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედ. სარევ. პარტიას. როგორც დამცველს ოქტომბრის მონაპოვრის. ვინაიდან ოქტომბრის მონაპოვრის დაცვა ეს ჩვენ, პარტიის რევოლიუციონუ პრინციპების დაცვაა. მაშ გისურვებთ ამხ. სალი ახალგაზრდული გონებით პარტიის სალი ოჯახისკენ ლტოლვას. (ტაში).

**თავმჯდომარე:** ამხანაგებო მოხსენება უკვე მოისმინეთ. ახლა თუ გაქვთ ვინმეს შეკითხვა, გთხოვთ მაშ, შეიძლება ვისმეს თანამოხსენება გინდოდეს, გთხოვთ. არავის.

ახლა კი ამხ. **ვასილი კეკელია** გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: **„ევოლიუცია, თუ რევოლიუცია"**.

**ვასილი კეკელია:** მეგობრებო! კაცობრიობის ისტორია არის ნაყოფი მუდმივი რევოლიუციონური ჭიდილის, ბრძოლის. ცხოვრება და ისტორია იქმნება ყოველთვის სისხლის ღვრით და ბრძოლით. ასეთი იყო ბედი კაცობრიობის საუბედუროდ. ყოველივე ახალი ხანა და ახალი ეპოქა მიმართული ახალი კულტურის შექმნისაკენ და დამპალ ცხოვრების განახლებისავენ, არის ნაგავი, ამხანაგებო, მუდმივი შეჯახების და ურთიერთის წინააღმდეგობის. ჯერ კიდევ პირველ ყოფილ ადამიანები, როდესაც მათ არავითარი წარმოდგენაც არ ქონდათ რამე სახელმწიფო ორგანიზაციაზე, და სრულებით ვერ შეეძლო რამე გეგმების და სხვა და მისკენ მიმართვა მისი ძალების. აი ამ დროსაც კი ვხედავთ ჩვენ ერთმანეთისადმი ჭიდილს და ბრძოლას ადამიანთა შორის. შემდეგ კი, როცა ადამიანი ჩამოყალიბდა ერთგვარი საზოგადოებრივი და ეროვნული, სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში. ეს ბრძოლა თან და თან უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. ერთი სიტყვით საზოგადოების ისტორია ბრძოლის ისტორიაა.

ახლა თქვენ იკითხავთ, რატომ ხდებოდა ეს ასე, რატომ საზოგადოების ისტორია ასეთი ბრძოლითაა სავსე? ზოგიერთების აზრით ამის უმთავრესი მიზეზია მხოლოდ ობიექტიური პირობები და სოციალური მდგომარეობა. მაგრამ მე ვიტყვი, რომ ეკონომიურ მიზეზებთან არა ნაკლები და უფრო მეტსაც თამაშობს ადამიანის შინა ფსიქოლოგიური მომენტი. ადამიანი, როგორც იცით განწყობილი არის „ეგოისტური" ძალისკვეთებით და ის მიისწრაფის ყოველ-უკეთესისაკენ, ახალისაკენ. აი ეს ფსიქოლოგიური მომენტი არის ადამიანის ამამოძრავებელი და წყარო პროგრესის. ასეთი განსაკუთრებული სპეციფიური თვისებები, რომ არ ჰქონდეს ადამიანს [illegible] ჩვენ შორის ვიქნებოდით.

მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ მარქსის აზრით და მასთან ზოგიერთი სოციოლოგებისა ადამიანთა ისტორია ეს არის მუდმივი კლასთა ბრძოლის ისტორია. ე. ი. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ სოციალური მდგომარეობა არის მათი აზრით მამოძრავებელი ისტორიის. მაგრამ მე ვიტყვი, რომ, როგორც მარქსისტი, ფომბარტი შენიშნავს კაცობრიობის ისტორია არის კლასთა ბრძოლასთან ერთად, ნაციონალური ბრძოლისა და სხვა ადამიანის სპეციფიური, ფსიქოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე, ბრძოლის ისტორია.

როგორც იცით ერთ-ერთი ფრთამ მარქსისტებისა, ეგრეთ წოდებული ბოლშევიკებმა დროზე აუღეს მარქსის თეორიას ალღო და დაადგნენ სწორი, აქტუალური ბრძოლის გზას. ისინი დარწმუნდნენ, რომ სოციალიზმის დამყარება, მხოლოდ შესაძლებელი არის აქტიური რევოლიუციონური გზით, ამით იმათმა იხსნეს სოციალიზმი დაღუპვისაგან.

აი რაში არის დამსახურება კომუნისტების მშრომელთა წინაშე. ოქტომბრის გადატრიალებამ ამხანაგებო, გამართლა ჩვენი თეორი, ჩვენი აქტიუალური რევოლიუციონური თეორიამ სწორედ აქ ოქტომბრის რევოლიუციაში პოვა გამართლება. აი ამიტომ ჩვენ მასთან უნდა ვიყვეთ და უნდა ვიცავდეთ მისი მონაპოვარს.

რევოლიუციას დღეს საფრთხე მოელის ცხრა თავიანი რეაქციის ფაშიზმის სახით და ჩვენი რევოლიუციონური ახალგაზდობის ვალია რევოლიუციასთან ვიქნეთ. (მხურ. ტაში).

**თავმჯდომარე:** გთხოვთ, შეკითხვები შემოიტანოთ ან წერილობით ან სიტყვიერად იძლევიან შეკითხვებს და მომხსენებელი დამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევს მათ.

შემდეგ იქნა წაკითხული სამანდატო კომისიის ანგარიშები:

კონფერენციას დაესწრო 31 დელეგატი. პროფესიის მიხედვით 10 მასწავლებელი 7 სტუდენტი, 11 მოწაფე, 1 ფოსტის მოსამსახურე 1 მუშა. სტაჟის მიხედვით.

---

აიბარგა ანეტა და წავიდა სხვა სოფელში თავის მშობლებთან...

კარგა ხანი აწვალეს გიორგი გამოძიებაში და შემდეგ სასამართლოს გადასცეს ეს საქმე და შეუერთეს იგი სემენარიის ორგანიზაციის საქმეს. გაქცეულთაგანი ზოგი დაიჭირეს, ზოგმა კი გაასწრო და თავს უშველა. თითქმის ერთმა წელმა განვლო და ძლივს დანიშნეს საქმის გარჩევა. ყველას და მათ შორის გიორგისაც კატორღა გადაუწყვიტეს...

მაგრამ მღვდელს მაინც მოსვენება არ ეღირსა ისლოდა, რომ ციხის კარები არც ისე მაგრად იკეტება და კედლებიც ხშირად ვერ ინახამენ სათანადოდ საიდუმლოებას... მთავარ კითხვის პასუხი მაინც არ ეღირსა მღვდელს: გაიგონა თუ არა გიორგიმ ის საშინელი სიტყვა, რომელიც მომაკვდავმა შვილმა მიახალა მამას მაძას?.. ეს ღრღნიდა და უმწარებდა სიცოცხლეს მღვდელს, ეს არ აძლევდა მოსვენებას. ეს ის ხანა იყო, რომელსაც მალე მოჰყვა საშინელი გრიგალი ომისა, ქვეყანა აფორიაქდა, ომმა მიყრუებულ ალაგებსაც კი, სადაც ევროპის. სახელი, ან მით უმეტეს გერმანიის და სხვა უცხო სახელმწიფოთა სახელი არასოდეს გაეგონათ, მიაღწია და აქაც აფორიაქა ცხოვრება და ასტეხა ალიაქოთი. ჯანსაღი ახალგაზრდობა, შუახნის ვაჟკაცები ყველა გახვეტეს ქალაქ სოფლებიდან. რევოლიუციისათვის თითქოს ალარავის ეცალა. მაშინდელმა მთავრობამ ერთს თავის მიზანს თითქოს მიაღწია, ფართო მასის ყურადღება ეხლა მთლად ომისაკენ იყო მიპყრობილი. ყველას ეხებოდა ეს ომი, ბნელეთის შავმა ფრინველმა ყველას შემოჰკრა ფრთა. მებრძოლ ახალგაზრდობას, ვისი იმედიც რევოლიუციას ჰქონდა, მომქმედ ჯარში მოაქციეს და თავის თავად რევოლიუციონერთა მუშაობის ცენტრიც ჯარში გადვიდა...

საზოგადოების ერთ ნაწილში პატრიოტულმა აღფრთოვანებამ იჩინა თავი, მილიტარიზმმა ბევრი ისეთიც მოშხამა და მოხიბლა, ვისაც თითქოს მასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ანგარიში შეეშალა ბევრს. ზოგი დარწმუნებული იყო, რომ გერმანიის გამარჯვება რეაქციის გამარჯვება და რევოლიუციის თითქმის სამუდამო დამხობა იქნებაო. და რატომ ანტანტის გამარჯვება არ იქნებოდა იგივე რეაქციის გამარჯვება და რევოლიუციის დამხობა ამას რატომღაც არ ფიქრობდნენ. ერთი სიტყვით ბევრს გულუბყვრილოს ეგონა გერმანიასთან ბრძოლა თითქოს რევოლიუციის სასარგებლო ბრძოლაო და როდესაც ფართო საზოგადოება ასეთი აზრისა იყო, მაშინ ჟანდარმებს რასაკვირველია ნაკლები შრომა და „წვალება" დასჭირდებოდათ. მიყუჩდა თითქოს რეაქცია, მიყუჩდა თითქოს აგრეთვე რევოლიუციონური მოძრაობა...

გამოცოცხლდა ცოტა არ იყოს ამ პირობებში მამა იროდიონი, წელში გასწორდა, შეუდგა მღვდელთ მსახურებას, კვლავ დაეპატრონა მრევლს. ან და რისა უნდა ეშინოდეს დღეს, როდესაც წინაკარის ფარული ორგანიზაცია ფაქტიურად არ არსებობს; ყველას ჯარში უკრეს თავი და შორს გაამწესეს...

პატრიოტულათ ქადაგება, ომისთვის წაქეზება ზრუნვა და სხვა, აი რითი იხარებდა გულს იროდიონი, მხურვალედ ჩაება ამ საქმეში, ერთ ხანობას მომქმედ ჯარში გადასვლაც დააპირა, მაგრამ უფროსობამ არ ურჩია, შენი ხნის კაცი ვერ აიტანს იქაურ პირობებსაო... მხოლოდ იშვიათად როდესაც ღამე ლოგინში დასაძინებლად ჩაწვებოდა და ჩასთვლემდა, უცბად ელვასავით გაუვლიდა შვილის ძახილი: „ჯაშუშო!" წამოვარდებოდა, ცივი ოფლი გადაასხამდა და კარგა ხანს გონს ვერ მოდიოდა... მაგრამ ეს ეხლა იშვიათად ემართებოდა.

***

შეეშალა ანგარიში მილიტარისტებს და ომმა მათვის მეტად არა სასურველი ნაყოფი მოიტანა: იგრიალა თებერვლის რევოლიუციამ და ძველი ღმერთები ქვესკნელში ჩავიდნენ. თებერვლის რევოლიუციამ მოიყვანა და მომკა ცხრაას ხუთში დათესილი ყანა, მაგრამ გალეწით კი ვერ გალეწა და ვერ დააბინავა მოსავალი. არ ჰქონდა ამისათვის არც უნარი, არც მხნეობა და არც გამბედაობა.

მოსავალი ლპებოდა, უკვე შემოდგომამ მოატანა და აი სწორედ აქ გაუჩნდა ახალი პატრონი, ნამდვილი მუშა. ენერგიული გამბედავი და გამძლე შრომას მიჩვეული.—შეანძრია ცა და ქვეყანა ოქტომბრის რევოლიუციამ, ცოცხით კალოდან აჰგავა უხეირო მუშაკნი და მხნედ შეუდგა მოსავლის გალეწა დაბინავებას.

გიორგი ზარიშვილის თავიდან მოშორებამ და შემდეგ ომის ამბებმა ცოტა არ იყოს დაამშვიდა და გამოაცოცხლა მამა იროდიონი. მართალია თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებში დიდი შიში განიცადა, როდესაც ხალხი პირველ ყოვლისა ეცა „ოხრანკებს" და ჟანდარმთა სამართველოებს და იწყო ჯაშუშების და საიდუმლო აგენტების ვინაობის გამოაშკარავება, რამდენიმე ხანს იროდიონს მოსვენება არა ჰქონდა, ერთ ხანს სოფლიდან გაპარვაც კი დააპირა, მაგრამ აბა სად უნდა დამალულიყო? კვლავ შინიდან გარედ ფეხი ამოიკვეთა მაგრამ ბედმა აქ კვლავ უმადლა. საიდუმლო სიებში მამა იროდიონის სახელი არსად ალმოჩნდა. ან ჟანდარმებმა მოასწრეს ზოგი ერთი საბუთების დაწვა, ან საზოგადოდ იროდიონი სიაში არ ჰქონდათ შეტანილი... მიდიოდა დრო და იროდიონი მალე დარწმუნდა, რომ თებერვლის გადატრიალებამ არსებითად არაფერი შესცვალა, დაიმხო მეფის ტახტი, მაგრამ ურთიერთობა სოციალური და ხალხის საერთო მდგომარეობა იოტის ოდენადაც არ შეცვლილა, გამოჰყო თავი მამა იროდიონმაც, მიიხედ მოიხედა ირგვლივ, გასწორდა ცოტა წელში და კვლავ ხმა აღიმაღლა. გიორგი არსადა სჩანდა, ჯაშუშობას იროდიონს ვერავინ ვერაფრიდან დაუმტკიცებდა და... მაშასადამე იროდიონს შეეძლო თავი კვლავ მაღლა აეწია.. თან და თან იროდიონი ხალხში გაერია, ადვილად შეეგუა ახალ წყობილებას და ეხლა თამამად იხსენიებდა თავის „რევოლიუციონურ" წარსულს. ყველას უმტკიცებდა: „მადლობა ღმერთს, რასაც სასოებით მოველოდი, აღსრულდა"-ო ..

ალბად ასე გაატარებდა მამა იროდიონი თავის ცხოვრებას და ვინ იცის გამოესალმებოდა წუთი ქვეყანას და დიდის ამბით მიაბარებდნენ მიწას, როგორც „პატიოსანს" და დაუღალავს მუშაკს, მოძღვარს და მოჭირნახულეს ხალხისას, მაგრამ...

### ჩვენ დროს

ოქტომბრის რევოლიუციამ შორს გაფრენილი მერცხლები დააბრუნა შინ. გიორგი ზარიშვილი კატორღაში წამებული, ფიზიკურად მოტეხილი და დასნეულებული, მაგრამ სულით კვლავ შეუდრეკელი და შეუპოვარი, ოქტომბრის რევოლიუციამ თითქოს ხელახლად დაბადა და ცხოვრების ზედა პირზე მოაქცია, ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება თვით გიორგის ბრწყინვალე გამარჯვება იყო. მოდიოდა გიორგი წინაკარისაკენ, აქ ბევრი ძველი ამხანაგი, მის მიერ გაწვრთნილი და რევოლიუციას ზიარებული ეგულებოდა. აქ წინაკარში გაატარა მან უმძიმესი უნაყოფიერესი ხანა თავის რევოლიუციონურ მოღვაწეობისა და აქვე იყო დასაფლავებული უდროოდ დაკარგული, მსხვერპლად შეწირული ჭაბუკი გმირი ვანო, რომელსაც გიორგი ვერასოდეს ვერ დაივიწყებდა. გვახსოვს კარგად რომ გადატრიალების პირველ ხანაში სოფლად თუ ქალაქად მიტინგი მიტინგს მოსდევდა.

და აი ერთ მიტინგს წინაკარში გიორგიც დაესწრო. ავიდა თუ არა გიორგი სალაპარაკოდ მაგიდაზე, უმალ იცნო ხალხმა და ტაშით და „ვაშას" ძახილით მიეგება. ოვაცია გაუმართეს, მხურვალე მჭექარე, ასე რომ კარგა ხანს გიორგიმ სიტყვის დაწყობა ვერ მოახერხა.,. დამშვიდდა ხალხი. გიორგიმ თავისი სიტყვა იმით დაიწყო, რომ განუმარტა ხალხს მომხდარ გადატრიალების მნიშვნელობა, მისი მიზანი და ახლობელი მომავალი, გაიხსენა შემდეგ წარსული და რა თქმა უნდა მოაგონა ხალხს უბედური ვანო. აქ ხალხის თვალწინ გადიშალა საშინელი და საზარელი ამბავი უდროოდ დაღუპულ ჭაბუკისა. ერთის მხრით პატიოსნებით სავსე, ხალხისათვის თავდადებული ნორჩი არსება და მეორეს მხრით ბოროტი, გაიძვერა და უსინიდისო მამა, შვილის მკვლელი. შეაძრწუნა ხალხი საშინელმა ამბავმა, აღელდა მეტად. ვიღამაც წამოიძახა: „ჩავაძაღლოთ ქოფაქი". მას ბევრმა ხმა მისცა და ხალხი აიშალა, მზად იყო საშინლი შურის ძიებისათვის, მაგრამ გიორგიმ როგორც იქმნა დაამშვიდა: „ამხანაგებო! ყვიროდა იგი: „დაანებეთ თავი, არა რას წარმოადგენს იგი, არ მოიძებნება ქვეყნიერებაში ისეთი სასჯელი, რომელიც მაგისთვის საკმარისი იქნება,., დეე იცოცხლოს, გარწმუნებთ რომ სიცოცხლე მაგისათვის საშინელზე საშინელი დასჯა იქნება.,. უმჯობესია კვლავ გავიხსენოთ უდროოდ დაღუპული ვანო. წავიდეთ მის საფლავზე და ჩავძახოთ რომ მისმა მსხვერპლმა უშედეგოდ არ ჩაიარა"... იგრიალა მთელმა მიტინგმა და მთელის შემადგენლობით სასაფლაოსაკენ გაემართა... აქ კვლავ სიტყვები, მოგონებანი... საღამოს მიაღწია მიტინგის ამბებმა იროდიონამდე. ფოფოდია კარგა ხანია ლოგინად იყო ჩავარდნილი, მღვდელიც უკანასკნელმა ამბებმა სრულიად მოშალეს, ჩააბერეს და გამოაყრუეს... მაგრამ მიტინგის ამბავმა და გიორგია მიერ ნათქვამმა კვლავ საშინელი შიში აღუძრეს იროდიონს. მაგრად ჩაკეტა კარ-ფანჯარა, ცახცახებდა, ძილი გაუქრა. მხოლოდ ფიქრები, საშინელი ფიქრები... აი ელანდება დაღუპული შვილი, ხელს უქნევს, სახე სიძულვილით აქვს მოცული და მღვდლის ყურში საზარელი ხმა გაისმის: „ჯაშუშო! ჯაშუშო!" მთელად აერია აზრები მღვდელს ვერ იქნა ვერ მოიშორა ლანდი თავიდან. უქსუის ყურებში განუწყვეტელივ: „ჯაშუშო!".. ცდილობს ლოცვას, ევედრება ხატს, მაგრამ შველა მაინც არსადაა... შუადღემ მოატანა, ველარ გაუძლო ტანჯვას მღვდელმა, წამოდგა, გავიდა კარში, კარგად ვერ კი ერკვეოდა, გავიდა ქუჩაში, გასწია გზით, თითონაც არ იცოდა საით მიდიოდა, ოღონდ კი მოშორებოდა თავის სახლს, სადაც ყოველ კედელზე, ყოველ ნავთზე კითხულობდა საშინელ წარწერას: „ჯაშუშო! შვილის მკვლელო!" თითქოს ვიღაც ზურგში ხელსა ჰკრამდა და მიჰყვანდა ბნელ ღამეში იროდიონი, მიდიოდა გზა აბნეული და თითქოს თავის და უნებლიედ სასაფლაოს მიაწყდა. არ შეჩერდა, მიდიოდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც მიუახლოვდა ვანოს საფლავს, მუხლები მოეკვეცა... მიცოცდა საფლავთან და ერთი კი შებღავლა საშინელის ხმით: „შვილო, მომიტევე!" და უსულოდ გაენართხა საფლავს...

დილა ადრიან სოფლის ორ ბავშს საქონელი დაჰკარგოდათ და მათ ძებნაში სასაფლაოზე მივიდნენ და საშინელ სურათს წააწყდნენ.., გულგახეთქილები გაიქცნენ სოფელში. აცნობეს. მრავალი ხალხი გაეშურა საფლავისაკენ, წავიდა მილიციის უფროსიც და წინ დაუხვდად ვანოს საფლავზე გაშოთილი უკვე გაციებული იროდიონის გვამი...

მილიციის უფროსმა მიმართა ხალხს; რათა მიცვალებული აეწიათ და სახლში წაეღოთ, მაგრამ არავინ მიეკარა, ხალხი უსიტყოდ მიტრიალდა და გასწია სოფლისაკენ. მილიციის უფროსმა იქირავა მუშები, შეაკვრევინა ფიცრის კუბო, გაათხრევინა საფლავი და მიწა მიაყარეს იროდიონს... ჭირისუფალი არავინ ალმოუჩნდა. მხოლოდ ხალხმა მოითხოვა, რომ მღვდელი სასაფლაოს გარეშე დაემარხათ. „ჩვენ მიცვალებულებთან მაგას ადგილი არა აქვს"-ო.

**ი. გედევანიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

5—1917 წ. 7—1919 წ. 6—1921 წ. 8—1922 წ. 4—1923 წლიდან.

თავმჯდომარე: ახლა დღიური წესრიგის თანახმად ამხ. შალვა ხახუბია წაიკითხავს მოხსენებას „ჩვენი ნაბიჯი“.

**შ. ხახუბია:** ამხანაგებო! მე არ შევუდგები აქ იმის გადმოშლას, თუ როგორ მუშაობდა ჩვენი არალეგარული ცეკა. ხოლო მინდა შევეხო, თუ როგორი მიზანშეწონილი იყო მისი ამ სამი წლის არალეგალურად მუშაობა და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ, როგორც წინა ორატორებმა მოგახსენათ, ვაკეთებდი სხვისი საქმეს და ვებრძოდით ჩვენს თავს. მაგრამ ამაში ჩვენ არ მიგვიძღვის დანაშაული. ამაში დამნაშავეა ჩვენი პარტიის მეძარჯვენე მეთაურები, შემთანხმებლები. უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ ჩვენ ახალგაზრდობის უფროს ამხანაგები არასოდეს არ უძლვებოდენ სათანადოთ. ის ყოველთვის უპატრონოდ იყო მიტოვებული და თავისი რევოლიუციონური გზას თვითონ განაგრძობდა. ამ სამი წლის განმავლობაში ის მოსტყუვდა და მომენშევიკე ელემენტებს გაყვა, მაგრამ იმას მაინც არავინ უწევდა ხელმძღვანელობას. დღეს კი თქვენ ამხ. უდიდესი ისტორიული ფაქტის წინაშე დგეხართ ამ ახალგაზრდობას გამოაქვს თავისი საკუთარი დროშა და უერთდება საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიას, ამრიგად ჩვენი ნაბიჯი მიზან შეწონილია. ბოლოს მოუწოდებს კონფერენციას მედგარი რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ.

**გამოფხიზლებული.**

(შემდეგი იქნება).

# მუშათა ცხოვრება

## მშრომელთა საკითხი და მუშკორები.

მუშათა კლასის და მშრომელ ხალხის ეკონომიური მდგომარეობა სავსებით დამოკიდებულია მუშათა სახელმწიფოს ინდუსტრიის, ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო დოვლათის გადიდებაზე და მისი განვითარებისათვის ბრძოლაზე.

დღევანდელი პრესა საკმაო ყურადღებას აქცევს მუშათა საკითხს, მის კლასობრივ ინტერესის გამომზეურებას და გაშუქებას.

დღევანდელი გაზეთი—ეს უნდა იყოს მუშათა გაზეთი და არა გაზეთი მუშებისათვის, ვინაიდან თვით მუშები, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან წარმოება-მრეწველობასთან, მონაწილენი თავის დაკოჟრებული ხელით სახელმწიფოს სიმდიდრის შექმნაში, რასაკვირველია უნდა სწერონ მუშათა საჭირ-ბოროტო საკითხებზე მუშებმა, რომლის ნამუშევარიც უნდა მოხმარდეს წესიერად მშრომელთა კეთილდღეობას.

მუშებმა თავისი მდაბიო, მუშური ენით უნდა ამეტყველონ ყველა ის შეცდომები, რომელნიც დაშვებულნი იქნებიან სახელმწიფოს მრეწველობის და მეურნეობის ზრდა-განვითარებაში, უნდა გამოაშკარავონ ფაბრიკა-ქარხნებში წარმოებული მუშაობის შემაფერხებელი მიზეზები, რომელიც აღუნებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ სვლას, უნდა შეებრძოლოთ საბჭოთა დაწესებულებაში მოკალათებულ ბიუროკრატიულ რეჟიმის გამტარებელ „ახალ ჩინოვნიკებს და სპეცებს“, რომელნიც დღეს-ხვალობით აფერხებენ მუშაობას, დააფასონ მიუდგომლათ მუშა-მოსამსახურეთა კეთილ-სინიდისიერი მუშაობა, მათ შორის მუყაითი პირები—ერთი სიტყვით მშრომელთა ყოველ მხრივ გაშუქება უნდა დაისახონ მიზნათ მუშკორებმა.

საბჭოთა ხელისუფლება დიდს ყურადღებას აქცევს მუშკორებს და შესაფერ პასუხსაც გასცემს ყველა მოძალადეებს და ბიუროკრატებს.

შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი მშრომელი ხალხი, უკვე სწავლას დაწაფებული, გამოვა მუშათა სამწერლო ასპარეზზე მისთვის გახსნილი სკოლები, მუშათა ფაკულტეტები და პრაქტიკული ცოდნის კურსები მეტს გაზრდის შეგნებით მშრომელთა რიგებს და მაშინ სამძიმო არ იქნება ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლა და წერა. მანამდის მუშკორებმა უნდა ზიდონ პასუხისმგებლობაც მშრომელთა სიყვარულისთვის.

მაშასადამე საბჭოთა გაზეთს ესაჭიროება მუშათა მასებთან შემჭიდროება, სიახლოვე მუშათა უბნებთან და კვარტალებთან, ფაბრიკა-ქარხნებთან წარმოება-დაწესებულებებთან, სადაც შრომის შვილნი დაზგაზე თუ ჩაქუჩით ჰქმნის ცხოვრების დოვლათს.

საბჭოთა გაზეთის მუშაობას ამ მხრივ აფერხებენ დროზე მასალის მოუცემლობის გამო ზოგიერთი კიდევ შერჩენილი ძველ ჩინოვნიკ-ბიუროკრატისებური პირები. გიხდებათ მთელი საათობით დგომა ფაბრიკა-დაწესებულების დერეფანში და ლოდინი საქმეთა მართველების, მდივნების და გამგეთა ნახვა, რომ მიიღოთ ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხზე.

ყველა ეს ჰქმნის არა ხელსაყრელ პირობებს მუშკორების, ქრონიკორების და თანამშრომელთა მუშაობისას. მოსკოვში დაარსდა ე. წ. საზოგადოება „დრო“, რომელიც დროს გამოყენებას დიდ ყურადღებას აქცევენ პრაქტიკულ საქმიანობის თვალსაზრისით და ეს საზოგადოება ამ მოვლენასაც გაზეთის ცნობის მიწოდებას ჯეროვნად აქცევს ყურადღებას, გაზ. „ეკონომიურმა ცხოვრებამ“ შემოიღო იმ ვაჟბატონების გვარის და სახელის ბეჭდვა, რომელნიც გაზეთის თანამშრომლებს თავის მოვალეობის შესრულებაში აგვიანებენ.

ამიტომ ჩვენი ვალია **მუშკორებს მივცეთ ფართო სარბიელი მუშაობისთვის.**

გაზეთების გარშემო უნდა შემოკრბენ მუშკორები, რომელთაც სავსებით უნდა გამოაშკარავონ და დაასურათხატონ საქართველოს მშრომელთა ცხოვრების სრული სახე. ფაბრიკა ქარხნები, სამრეწველო და სამეურნეო დარგები, დაწესებულებანი—აი სამოქმედო გზა, სამწერლო სარბიელა მუშკორების.

**გ. მაღრაძე.**

# ეკონომიური ცხოვრება

## უ ც ხ ო ე თ ი.

— **აქციონერულ საზოგადოებათა ზრდა შეერთ.-შტატებში.** ივნისის განმავლობაში შეერთ, შტატებში შეიქმნა 1013 ახალი აქციონერული საზოგადოება არა ნაკლებ 100.000 დოლ. კაპიტალით. კამპანიების კაპიტალის საერთო თანხა 1.403.336.220 დოლლარს შეადგენს. ერთი ჟურნალის ცნობით ეს ციფრი სარეკორდო არის 1920 წ. მაისთან შედარებით, როდესაც 979 აქციონერული საზოგადოება შეიქმნა 1.417.613.900 დოლლარის კაპიტალით. პირველ იანვრიდან დაარსებულია 5249 ახალი სააქციონერო საზოგადოება 4.338.045.120 დოლ. კაპიტალით. სააქციონერო საზოგადოებათა კაპიტალების ზრდა იანვარ-ივნისში 1922 და 1923 წლ. შემდეგი ცხრილიდან სჩანს:

| | 1923 წ. დოლლარები | 1922 წ. დოლლარები |
|---|---|---|
| იანვარი | — 909.693.800 | — 843.652.900. |
| თებერვ. | — 700 708.300 | — 591.404.300. |
| მარტი | — 500.819.000 | — 731.866.000. |
| აპრილი | —1.006.258.300 | — 792.372.000. |
| მაისი | — 817.229.500 | — 938.195.000. |
| ივნისი | —1.403.336.220 | — 297.557.000. |
| სულ | — 4.338.095.120 | — 4.195.097.200. |

— **საფრანგეთის სავაჭრო ბალანსი.** ფრანკის დაცემის ერთ ერთი გარემოება,—პურის შესყიდვა უცხოეთში, წელს აღარ იქონიებს გავლენას ფრანკზე. მიწად-მოქმედების სამინისტრო წრევანდელ მოსავალს თვით საფრანგეთში 75 მილიონ კვინტალით განსაზღვრავს (წარსულ წელს მხოლოდ 66 მილიონი იყო). ალჟირი მისცემს საფრანგეთს 5 მილ. კვინტალს, ამრიგად შესდგება წარსულ წელთან შედარებით 14 მილ. კვინტალი გარდამეტი; წარსულ წელს კი საჭირო გახდა უცხოეთში შესყიდვა სწორედ 13 ნახ. მილ. კვინტალის. ამ მხრივ მაშასადამე, მდგომარეობა კარგათ არის. საფრანგეთის სავაჭრო ბალანსი მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში აგრეთვე დამაკმაყოფილებელია. შემოტანა მეტია გატანაზე დაახლოებით ნახ. მილ. ფრანკით. ამრიგად, ფრანკის დაბალი კურსი უმთავრესად ახლანდელი კაბინეტის საგარეო პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს.

— **გაკოტრებანი შეერთებულ შტატებში.** გაკოტრებათა რიცხვი ა. წ. ივნისის განმავლობაში შეერთ. შტატებში 1379 უდრიდა; მასთან შედარებით 6 პროცენტით შემცირებულა. 6 თვის განმავლობაში გაკოტრებათა საერთო რიცხვი 9925 უდრის, ე. ი. 10 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე 1922 წლის მეორე ნახევარში ამ წარმოებათა პასსივი უდრიდა 288 185.820 დოლ. ე. ი. 27 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე 1920 წლის შესაფერ პერიოდში. თვეების მიხედვით გაკოტრებათა რიცხვი და სარეწაოთა აქტივი და პასივი შეადგენს:

| 1923 წ. | გაკოტრებათა რიცხვი | აქტივი დოლლარები | პასივი დოლლარები |
|---|---|---|---|
| იავარი | — 2.203 | — 28.244.270 | —53.597.775. |
| თებერვა. | — 1.563 | — 18.845.274 | —38.145.532. |
| მარტი | — 1.677 | — 32.035.272 | —60.617.408. |
| აპრილი | — 1.637 | — 31 290.039 | —52.056.267. |
| მაისი | — 1.467 | — 15.983.105 | —31.765.102. |
| ივნისი | — 1.378 | — 40.019.690 | —52.003.736. |
| ს უ ლ | 9.925 | —116.417.650 | --288.185.820 |

— **დახმარება ამერიკელ პურის მწარმოებლებს.** ვაშინგტონში გაიმართა კაბინეტის სხდომა პრეზიდენტ კულიჯის მონაწილეობით; მსჯელობდენ ხორბლის მწარმოებელთათვის დახმარების აღმოსაჩენ ღონისძიებებზე. განზრახული არის სარკინიგზო ტარიფების შემცირება საექსპორტო ხორბალისათვის და შემოსატან ბაჟების გადიდება.

# ქიმიური წარმოების ქარხნები

## ქიმიური ქარხანა თულაშვილის და ბილანიშვილის.

ეს ქარხანა რამდენიმე წელიწადია რაც არსებობს. ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს იგი ჰქონდა კარეევს, შემდეგ შეიძინა ამხანაგობამ, რომელშიც შედიოდნენ ქართველი ინჟინრები და მოღვაწენი, მაგრამ საერთო სიძვირის და მასალის უქონლობის გამო ეს ქიმიური წარმოების ქარხანა გადაეცა დღევანდელ მის მესვეურთ ბილანიშვილს და თულაშვილს.

ამ ქარხანას არ მივაქცევდით ყურადღებას, რომ მას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ჩვენი სასოფლო მეურნეობისთვის, კერძოთ მევენახეობისთვის, რადგან საერთოთ საქართველოში ქიმიური ნაწარმოების დამამზადებელი ქარხნები ძლიერ მცირე-რიცხოვნია. ტფილისში არსებობს ასეთგვარი ქარხანა მხოლოდ ეგრედ-წოდებული „ატომის“ და მგონი ერთიც ბათომში.

ყველა ეს ქარხნები კერძო პირების ხელშია. არის რასაკვირველია ქიმიური ქარხნები, როგორცაა „ასანთის“ (წუმწუმის) დამზადებელი, რომელიც მხოლოდ ერთია მთელ საქართველოში სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტის განკარგულებაში და მეორეც საპნის და ზეთის ქარხანა ტფილისშივე ცეკავშირის ხელში.

ეს უკანასკნელი ქარხნები თუმცა ქიმიური წარმოების დარგისაა, მაგრამ მათი ნაწარმოები კერძო ინიციატივის საშუალებითაც ბევრი მზადება და შემოდეს საქართველოში, მაგ. ზეთი, საპონი და წუმწუმა.

ხსენებული ქარხანა ამზადებს შაბიამანს, რომელიც მევენახეობისთვის პირველ საჭიროებას წარმოადგენს. ამ ქარხანაში მზადდება შაბიამანი წელიწადში 2000—3000 ფუთი (უწინ 5000 ფ.); ღვინის ქვის სიმჟავე 1000 ფ. ამონიაკი 10 ფ. თვეში, გლაუბერის მარილი, რკინის შაბიამანი და სხვა ქიმიური ნაწარმოებნი [illegible] ქარხანა ნაკლებ ნაწარმოებს იძლევა. ეს აიხსნება დასამუშავებელ [illegible] ტავით, მაშინ როდესაც წარსულში ვაგონებით უზიდებოდნენ გოგირდის სიმჟავეს.

ეხლა 100 ფუთობითაც საძნელოა შოვნა, რაიც საშინლად ართულებს და აძვირებს ნაწარმოებთა დამზადების საქმეს. ამას დაუმატეთ ბინის ქირის დიდი გადასახადი და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები და ნათლად წარმოგიდგებათ ქარხნის მძიმე გარემოება.

საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ქარხანას, დაეხმაროს გადასახადების შემსუბუქებით, რომ ქარხანა გამოცოცხლდეს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა დასამზადებლად, თორემ გაზაფხულზე, როცა საჭიროა ხოლმე მევენახეობისათვის შაბიამანი და სხვა ნაწარმოებნი, რაიც ბაზარზე ნაკლებია და რაც არის მამასისხლად, გვიან და იქნება. მუშები თითო ოროლა ითვლება ქარხანაში, უწინ ბევრი ყოფილა. არც ერთი ქართული გაზეთი არ მიდით. ეს სირცხვილია. წისქვილი, რომელიც არსებობდა ამ ქარხანასთან, დაკეტილია. საერთოდ ეს ქარხანა ღარიბია.

**გ. მაღრაძე.**

# დახმარება სჭირია

ტფილისში მრავალი სტუდენტები ჩამოვიდა პროვინციებიდან. იწყება ახალი სამოსწავლო წელი. რომ ეს წელი ჩატარდეს ისე, როგორც შეფერის აკადემიური მაცადინობას, საჭირო იქნება ანგარიშის გაწევა იმ მოსწავლე ახალგაზრდობისადმი, რომელნიც ეკონომიურმა ვითარებამ აუტანელი მდგომარეობაში ჩააყენა.

მხედველობაში არის უმთავრესად მისაღები პროვინციელი სტუდენტების ეკონომიური მდგომარეობა.

საქარლველოში ერთ ერთ მტკივნეულ წერტილს წარმოადგენს გლეხობის უმწეო მდგომარეობა. სოფლის ეკონომიური საქმიანობა ფართე ასპარეზს ვერ პოულობს, და ის ხდება მცხოვრებთა კეთილდღეობის შემაფერხებელი ფაქტორად: სოფელი უბრუნდება ძველ პრიმიტიული ხელოსნობას, შალის, ხამის და სხვათა სახლში დამზადებას. ის ცდილობს გასწიოს იმდენი საქმიანობა, რომ ბაზარი ·მას დასჭირდეს უკიდურესი საჭიროების დროს რადგანაც მისი საქონელს არ აქვს იმდენი ფასი, რომ მისი მოთხოვნილებას მინიმუმი დაიკმაყოფილოს. ამგვარად ეკონომიური კრიზისს სოფელი მთელი თავისი სიმწვავით განიცდის და გლეხობა ყოველივეს თავისი ზურგზედ იტანს.

მიუხედავათ აუტანელი მდგომარეობისა სოფელი მაინც ისტუმრებს თავის შვილებს ქალაქისაკენ. მოაქვთ სურსათი...

ყველა ბირჟისკენ მიექანება, ყველა სამსახურს დაეძებს, რომ მისი მდგომარეობა ოდნავ მაინც უზრუნველჰყოს. სამსახურის შოვა ოცნებათ რჩება, რადგანაც მუშა ხელი ბაზარზედ აუარებელია...

აი აქ დგება ალტერნატივა ან წავიდეს სახლში ან შიმშილი... ამისთვისაც ეს ჩამოსული სტუდენტობა ისევ სოფელს რომ არ მიეშუროს თავის შესაფარებლად, არამედ დაეწაფოს მეცნიერებას, საჭირო არის თავის დროზედ მიექცეს ყურადღება და ოდნავ მაინც აუტანელი პირობები გააუმჯობესოს. მხედველობაშია მისაღები სოფლის გლეხობის შვილები, არაფერს ვიტყვი იმ სტუდენტებზედ, რომელნიც ლებულობენ ჯამაგირს...

დახმარება კი შეიძლება გამოიხატოს მრავალი სახით.

სოფლის ეკონომიური კრიზისი, პირისპირ უდგება მოსწავლე ახალგაზრდობას...

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება...

**ფარი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

# მატარებლის მიმოსვლის ნუსხა

| № და სახელწოდება მატარებლისა | ტფილისიდან გადის. | დანიშნულ ადგილზე მიდის | | № და სახელწოდ. მატარებლისა. | ტფილისში. მოდის | დანიშნულ ადგილებიდან გამოდის. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჩქ. | 4.00 შაბ. | მოსკ. | 5-55 ოთხ. | 2 ჩქ. | 3.30 სამშ. | მოსკ. | 1.00 პარ. |
| 1 ჩქ. | 4.00 სამშაბ. პარ. | პეტრ. | 12.00 კვ. ოთხშ. | 2 ჩქ. | 3.30 პარ.-ოთხშ. | პეტრ. | 9.30 კ. პ. |
| 3 სამგზ. | 11.35 | როსტ. | 6.00 | 4 საფ. | 6.35 | როსტ. | 10.30 |
| 7 სახ. | 10.10 | ბაქო. | 7.50 | 8 სახ. | 7.35 | ბაქოდან. | 9.40 |
| 21 საბ სახ. | 11.25 | ბაქო. | 8.10 | 22 საბ.-სახალ. | 2.50 | ბაქოდ. | 2.30 |
| 8 სახ. | 8.40 | ბათ. | 11.40 | 7 სახ. | 8.50 | ბათომ. | 5.00 |
| 4 საფ. | 12.00 | ბათ. | 5.40 | 3 საფ. | .10 | ბათ. | 10.30 |
| 22 საბ-სახ. | 12.20 | ბათ. | 3.25 | 21 საბ.-სახალ. | 4.20 | ბათ | 1.35 |
| 2 ჩქ. | 4 40 სამშ. | ბათ. | 6-40 ოთხ. | * 1 ჩქარი. | 2.40 | ბათ. | 11.50 პარ. |
| 3 საფ. | 6.00 კენტ. დღ. | ერივ. | 6.00 ლუწი დღ. | 34 33 საბ.-სახალ. | 6.15 კ. დ. | ჯულფ. | 5.25 კ. დღ. |
| 31/32 საბარ.-სახ. | 11.00 ლუწი დღ. | ჯულფა. | 3.33 კენტი დღ. | 19 სახ. | 8.00 | ბორჯ. | 1.20 |
| 3\|4 საფ. | 8.35 | თელავი. | 7.15 | * 3\|4 | 6.55 | თელავ. | 7 25 |

**შენიშვნა:** ღამის დრო ხაზ გასმულია.

**დამატება:** 1) ბორჯომიდან ბაკურიანში მატარებელი გადის: 12.15 8.00 და 4.80. უკანვე ბრუნდება 9.00 12.15 და 6.50.

2) სამტრედიიდან ფოთში მატ. გადის 8.30 და 9.25 უკანვე ბრუნდება: 4.50 და 4.34

# სამგზავრო ბილეთების ფასები (ჩერვონცებში)

(მაგარ საწოლიან ვაგონებში).

| მატარებლების სახელი. | ტფილისიდან | ფ ა ს ი |
|---|---|---|
| ჩ ქ ა რ ი | მოსკოვამდე . . . | 18 მ. 42 კ. *). |
| „ | პეტროგრადამდე . . . | 22 მ. 20 კ. *). |
| „ | როსტოვამდე . . . | 12 მ. 96 კ. *). |
| „ | ბაქომდე . . . | 7 მ. 77 კ. |
| საბარგო სამგზავრო | ბაქომდე . . . | 3 მ. 82 კ. |
| სამგზავრო | ბათომამდე. . . | 5 მ. 65 კ. |
| „ | ბათომამდე. . . | 5 მ. 65 კ. |
| საბარგო სამგზავრო | ბათომამდე. . . | 2 მ. 83 კ. |
| ჩ ქ ა რ ი | ბათომამდე. . . | 5 მ. 65 კ. |
| სამგზავრო | ერევანი . . . | 5 მ. 95 კ. |
| საბარგო-სამგზ. | ჯულფამდე. . . | 3 მ. 82 კ. |
| საფოსტო | თელავამდე. . . | 2 მ. 91 კ. |
| სამგზავრო | ბორჯომამდე . . . | 3 მ. 76 კ. |

*) ბილეთების გარდა სწრაფ მატარებლებზე მგზავრები იხდიან ბილეთის ფასის 25 პროც. სიჩქარისათვის და 25 პროც. პლაცკარტ. დასაწოლ ადგილისათვის.

იმ სამგზავრო მატარებლებში, რომლებშიაც დაწესებულია პლაცკარტის ფასი, ასეთს აიღევინებენ ბილეთის ფასის 10 პროც. საჯდომ ადგილისათვის და 25 პროც. საწოლისათვის.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 734 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, [illegible] № 4.